

შედგენილია გერმანიის, შვეიცარიის, ბელგიის, საბურძნეთის, პოლონეთის, რუსეთის, სლოვაკიის, ჩეხეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, უკრაინის, ბელარუსიის, ვიეტნამის, თურქეთისა და ბულგარეთის სამეცნიერო და საწესდებო წყაროების გამოყენებით.



**აეროდეზინ 2000®
AERODESIN 2000®**

გამოყენების მეთოდური მითითებები

1. ზოგადი დავალებები

1.1 **აეროდეზინ 2000®** – სადეზინფექციო საშუალებაა დამზადებული სამუშაო ხსნარის სახით. პრეპარატის 100 გრ. შეიცავს: 1-პროპანოლი – 32,5 გ., დენატურირებული ეთანოლი – 18,0 გ., გლუტარალდეჰიდი – 0,1 გ., დიდციკლიმეთილამონიუმის ქლორიდი – 0,05 გ., სტაბილიზატორი – 0,13 გ., სურნელოვანი ნივთიერება – 0,07 გ.

1.2 **აეროდეზინ 2000®** წარმოადგენს გამჭვირვალე, უფერო, სურნელოვან სითხეს. გამოიყენება დეზინფექციის მიზნით განზავების გარეშე. **აეროდეზინ 2000®** მიეკუთვნება ადვილად დასაფარად სითხეებს (*ანთების ტემპერატურა 26,5°C*). პრეპარატი აზიანებს პლექსიგლასისაგან დამზადებულ საგნებს, სპირტის მიმართ არამედვი მასალებისაგან დამზადებულ და ლაქით დაფარულ ნაკეთობებს.

1.3 **აეროდეზინ 2000®** -ს გააჩნია ბაქტერიციდული, ფუნგიციდური და ვირულიციდური თვისებები, მათ შორის ჰეპატიტის **B, C** და აივ-ინფექციის გამომწვევების მიმართ.

1.4 **აეროდეზინ 2000®** განკუთვნილია ობიექტების ძნელად მისადგომი ზედაპირების დეზინფექციისათვის.

2. აეროდეზინ 2000 –ის გამოყენება.

2.1 **აეროდეზინ 2000®** გამოიყენება შენობების ძნელად მისადგომი ადგილების (*იატაკი, კედლები, ფანჯრის რაფები, კარები*) და პრეპარატის მიმართ მდგრადი მასალებისაგან დამზადებული ხისტი ავეჯის დეზინფექციისათვის აგრეთვე, ზედაპირების სწრაფი დეზინფექციის მიღწევისათვის.

2.2 ობიექტების დეზინფიცირება უნდა ჩატარდეს 30 სმ მანძილიდან მორწყვით (*ერთდროულად არაუმეტეს 2კვ.მ.*), ხარჯვის ნორმაა 50 მლ/კვ.მ.

2.3 დეზინფექცია **აეროდეზინ 2000®**-ით უნდა ჩატარდეს ავადმყოფების დაუსწრებლად. დეზინფექციის შემდეგ საჭიროა შენობის განიავება 30 წთ-ის განმავლობაში.

3. აეროდეზინ 2000 მუშაობის უსაფრთხოების ზომები

3.1 **აეროდეზინ 2000®** -ის გამოყენებით სამუშაოები უნდა ჩატარდეს პირადი უსაფრთხოების წესების დაცვით, რომლებიც უზრუნველყოფენ სასუნთქი ორგანოების, კანისა და თვალების დაცვას (*ხალათი, ქული, წინსაფარი, რეზინის ხელთათმანები, დამცავი სათვალე, რესპირატორი*).

3.2 პრეპარატის თვალში მოხვედრისას საჭიროა გამდინარე წლით დაბანა 10-15 წუთის განმავლობაში, შემთხვევით პრეპარატის გადაყლაპვისას საჭიროა კუჭის ამორეცხვა (*რამდენიმე ჭიქა წყლის დალევა*), რის შემდეგ დაზარალებულმა უნდა მიმართოს ექიმს. პრეპარატის კანზე მოხვედრისას საჭიროა გამდინარე წყლით დაბანვა.

3.3 აკრძალულია **აეროდეზინ 2000®** -ით ღია ცეცხლის და სითბოს გამომყოფ წყაროებთან ახლოს მდებარე ობიექტის დეზინფექცია. დეზინფექციის ჩატარებისას აკრძალულია თამბაქოს მოწევა და საკვების მიღება.

3.4 სასუნთქი არხების დაზიანებისას საჭიროა დაზარალებულის სუფთა ჰაერზე ან კარგად განიავებულ შენობაში გაყვანა, მშვიდი და თბილი გარემოს უზრუნველყოფა, შემოჭერილი ტანსაცმლის გახდა, რძის დალევა.

4. შეფუთვა. ტრანსპორტირება. შენახვა.

4.1 პოლიმერული 1 ლიტრიანი ფლაკონი-პულვერიზატორი.

4.2 ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს ქარხანა-დამამზადებლის ტარით (*შეფუთვით*) საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტით, საშიში ტვირთის საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვის წესების შესაბამისად.

4.3 ინახება საერთო სარგებლობისაგან მიუღწევად დახურულ სასაწყობო შენობაში, ღია ცეცხლის და სითბოს წყაროებიდან მოშორებით, შენახვის ტემპერატურაა 5-30°C. შენახვის საგარანტიო ვადაა - დამზადებიდან 24 თვე.

ცხრილი N 1

ექსპოზიცია, წთ.		გამოყენების წესი
ბაქტერიული ინფექცია	ვირუსული ინფექცია	
15	30	არაუმეტეს 2 კვ.მ. ზედაპირის მორწყვა 30 სმ. მანძილიდან.

მწარმოებელი - **Lysoform Dr. Hans Rosemann GmbH.** – გერმანია.
ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში



შ.პ.ს. "მედიკალიზაცია სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი"

საქართველო, თბილისი, ბელიაშვილის ქ. №83
ტელ/ფაქსი: 2-53-20-32; 2-53-20-36;
info@amts.ge